



დიდი თეატრის „დირექტორი“

ახალგაზრდა რეჟისორმა გიორგი ტოვსტონოგოვმა საკუთარი „თეატრალური მცნებები“ შეიმუშავა:

1. არ ეარშიყო ქალებს საკუთარ თეატრში.
2. არ იყიადო თეატრში უსაქმოდ.
3. ჩაატარე რეპეტიცია ნახევარ ტონში, მაგრამ თანდათან გრადუსი ზევით ასნიე.
4. ძირშივე აღკვეთე ყოველგვარი დარღვევა.
5. თეატრში ფული არ ისესხო.
6. თეატრში „შემთხვევით ქალებთან“ ერთად არ გამოჩნდე.
7. ყურადღებით უსმინე ყველას და კარგად აწონ-დაწონე პასუხი.
8. გარეგნული სახე არ შეიცვალო.
9. რეპეტიცია თავიდანვე საქმიანად დაიწყე, არ მისცე მსახიობს უფლება გაერთოს და ჩამოშორდეს ძირითად საქმეს.



გიორგი ტოლსტონოგოვი

რდებს დიდხანს არ უფიქრიათ და 1912 წელს ჯვარი დაინერეს. 1915 წლის 28 სექტემბერს კი პირველი შვილი შეეძინათ, სახელად გიორგი დაარქვეს და, რადგან ორივე მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, ბიჭიც სპასო-პრეობოროჟენის ტაძარში მონათლეს.

მიუხედავად იმისა, რომ ალექსანდრე ტოლსტონოგოვი ახალბედა ინჟინერი იყო, მოკლე ხანში გზათა მინისტრის თანამდებობაზე დანიშნეს. ტოლსტონოგოვების პატარა ოჯახი ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრობდა ფურშტადტის ქუჩაზე მათთვის გამოყოფილ დიდ ბინაში. სამინისტროს საქმეებით დატვირთული ალექსანდრე უმეტეს დროს სამსახურში ატარებდა, თამარმა კი ოჯახის დიასახლისის როლი მოიკრიბა, გიორგის გვერდიდან არ იშორებდა, უზომოდ უყვარდა, მის გამო მომღერლის კარიერაზეც კი თქვა უარი, გათხოვებისთანავე გადაწყვიტა საკუთარი ცხოვრება მთლიანად ოჯახისთვის მიეძღვნა. დედა თვლიდა, რომ მის ბიჭს კლასიკური განათლება უნდა მიეღო, მუსიკისა და ფრანგულის მასწავლებლები სახლში დადიოდნენ, გაკვეთილების შემდეგ კი დედა-შვილი პეტერბურგის უმშვენიერეს ქუჩებში სეირნობდა...

მალე მშვიდ ცხოვრებას ბოლო მოეღო და ყველაფერი თავდაყირა დადგა – რუსეთის იმპერია რევოლუციამ მოიცვა! ტოლსტონოგოვების ოჯახისთვის პეტერბურგში ცხოვრება უსაფრთხო აღარ იყო, განსაკუთრებით – ალექსანდრესთვის. თამარი მეუღლის ბედზე ძალიან ღელავდა – არ უნდოდა, რომ ყოფილი მინისტრი რომელიმე დაპირისპირებულ ბანაკს მიმხრობოდა – არც თეთრგვარდიელებს და არც წითელარმიელებს, მხოლოდ „დამკვირვებლის“ პოზიციაში ყოფნაც საშიში იყო. საბოლოოდ, გამოსავალი ისევ თამარმა იპოვა – ქმარ-შვილთან ერთად საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, რადგან ფიქრობდა, რომ სამშობლოში, მშობლებისა და ნათესავების გარემოცვაში, უფრო უსაფრთხოდ იცხოვრებდნენ და მშვიდად დაუცვდიდნენ ამ არეულობის დასასრულს. თანაც, იმხანად, საქართველოში საბჭოთა წყობილება ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული. როდესაც ტოლსტონოგოვები პეტროგრადში თავიანთ ბინას ტოვებდნენ, დარწმუნებულები იყვნენ, რომ სახლიდან დროებით მიდიოდნენ, ამიტომ მხოლოდ საჭირო ნივთები წამოიღეს და თავი თბილისს შეაფარეს.

შესაძლოა, თამარმა თავისი დიდი ხნის ოცნება სწორედ ამ გადაბარგების დროს აიხდინა – მეუღლის გვარში ერთი ასო შეცვალა. საქმე ისაა, რომ ალექსანდრეს მეუღლე, როგორც მაშინ მიღებული იყო, ქმრის გვარს ატარებდა, არადა გვარი ტოლსტონოგოვა გარკვეულ უხერხულობას უქმნიდა, რადგან ხაზს უსვამდა ტკბილეულის მოყვარული ქალბატონის მსხვილ ფორმებს. გახდომის ნაცვლად, იმაზე ოცნებობდა, როგორმე გვარიდან ეს ასო „ლ“ ამოეგდო და ამ ხელსაყრელი შემთხვევითაც ისარგებლა. ასე გახდნენ ტოვსტონოგოვები.

ხანგრძლივი და საშიში მგზავრობის შემდეგ, 1919 წელს, როგორც იქნა, საქართველოში უვნებლად ჩამოაღწიეს. თბილისში ალექსანდრემ მუშაობა მალევე დაიწყო, ამიერკავკასიის საგზაო ინსტიტუტში პედაგოგად მოეწყო, შემდეგ კი პროფესორი და კათედრის ხელმძღვანელიც გახდა. ტოვსტონოგოვები ტატიანას (ამჟამად გ. ტოვსტონოგოვის) ქუჩაზე დასახლდნენ. თამარი კვლავინდებურად ვაჟის აღზრდით იყო დაკავებული, თუმცა გოგას (ასე ეძახდნენ მოფერებით) სკოლაში მიყვანას არ ჩქარობდა და ყველაფერს ისევ სახლში ასწავლიდა. პეტერბურგში უდარდელ ცხოვრებას შეჩვეულებს, ხელმოკლედ ცხოვრება, რა თქმა უნდა, გაუჭირდათ, თუმცა ყველაფერს იკლებდნენ, მა-

გრამ შვილს მაინც ნამდვილი, კლასიკური განათლება მისცეს. მხოლოდ 1925 წელს „გაიმეტა“ თამარმა ვაჟი და გერმანულ გიმნაზიაში მიაბარა (ოფიციალურად – 107-ე სკოლაში), სადაც ბავშვებს ყველა საგანს გერმანულ ენაზე ასწავლიდნენ, მოსწავლეთა უმეტესობა კი გერმანული ოჯახებიდან იყო. როდესაც დედამ პირველად მიიყვანა სკოლაში, მასწავლებლებმა გოგას ეჭვის თვალთ შეხედეს – ენა არ იცის, როგორ ისწავლის ჩვენთან, მით უფრო, მეხუთე კლასშიო, მაგრამ თამარმა მაინც თავისი გაიტანა და დირექტორს ასეთი პირობით დაემშვიდობა: „თუ არაფერი გამოუვა, გპირდებით, ერთ თვეში წავიყვან აქედან!“

გოგი პეტერბურგის დიდი დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახდა, გასტროლების შემდეგ მისი მსახიობები გაკვირვებით ყვებოდნენ – რა საამაყო რეჟისორი გვყავს, ჟან-პოლ სარტრს ფრანგულად ესაუბარება, ჰენრიხ ბიოლს კი – გერმანულადო. საამაყო კი ნამდვილად ჰქონდათ, მით უმეტეს, იმ დროს, როცა ზოგიერთ საბჭოთა მაღალჩინოსანს მშობლიურ ენაზეც კი უჭირდა აზრის ჩამოყალიბება.

1926 წელს ტოვსტონოგოვების ოჯახში პატარა ნათელა გაჩნდა, თუმცა ამ სახელით მას თითქმის არავინ მიმართავდა, მოფერებით ყველა დოდოს ეძახდა. 11 წლის გოგა მაინც-დამაინც დიდი სიხარულით არ შეხვედრია დის დაბადებას,

როდესაც ტოლსტონოგოვები პეტროგრადში თავიანთ ბინას ტოვებდნენ, დარწმუნებულები იყვნენ, რომ სახლიდან დროებით მიდიოდნენ, ამიტომ მხოლოდ საჭირო ნივთები წამოიღეს.

ყველას გასაოცრად, ეს სახლში გაზრდილი „დედიკოს ბიჭი“ ძალიან მეგობრული და მხიარული აღმოჩნდა, მალე დაუამხანაგდა თანაკლასელებს და მოკლე ხანში გერმანულიც მშვენივრად აითვისა. მასწავლებლებიც არ უჩიოდნენ, ყველაფერს კარგად სწავლობდა, განსაკუთრებით – ლიტერატურას და უცხო ენებს. ათეული წლების შემდეგ, როდესაც ტოვსტონო-

თავდაპირველად სულაც არ მოეწონა, რომ ეს ციციქნა არსება ერთ მშვენიერ დღეს სახლში მოიყვანეს და ყველა მას დაჰფოფინებდა თავს, თუმცა მალე შეეჩვია და ოჯახის ახალი წევრი შეუყვარდა კიდევ. ცოტა რომ წამოიზარდა, მის განათლებაზეც დაიწყო ზრუნვა, ხმამაღლა უკითხავდა წიგნებს, უყვებოდა ათასნაირ ამბავს, შემდეგ ერთად განიხილავდნენ ნაკითხულს,

პეტერბურგი



თამარმა თავისი დიდი ხნის ოცნება სწორედ ამ დროს აიხდინა – მეუღლის გვარში ერთი ასო შეცვალა.



**მიხა თუშანიშვილი აგოგდა
– ტოვსტონოგოვთან ვერასოდას
მოიწყინდა**

ზიასტმა თეატრალბმა – რეჟისორმა ნიკოლოზ მარშაკმა და მსახიობმა კონსტანტინე შახ-აზიზოვმა, თბილისში პირველი რუსული საბავშვო თეატრი გახსნეს. ფორმალურად ის გზათა სამინისტროს და რკინიგზას ექვემდებარებოდა, ამიტომ სპექტაკლებშიც უმეტესად რკინიგზელების შვილები იღებდნენ მონაწილეობას. მოკლე ხანში თეატრს სახელი შეუცვალეს და მოზარდ მაყურებელთა თეატრად გადააკეთეს. ბუნებრივია, ალექსანდრე ტოვსტონოგოვის შვილიც ამ თეატრის დაარსების პირველივე დღიდანვე აქტიურად ჩაება შემოქმედებით ცხოვრებაში – თავიდან თითქმის შემთხვევით მოხვდა, მაგრამ შემდეგ ამ საოცარი სამყაროთი „მოინამლა“ და იქიდან გამოსვლაც აღარ სურდა. 12 წლის ტოვსტონოგოვისთვის თეატრი ნამდვილი ოაზისი აღმოჩნდა, აინტერესებდა ყველაფერი – როგორ იბადება სპექტაკლი, როგორ შეიძლება ფურცელზე დაწერილი სიტყვა სცენაზე გაცოცხლდეს, როგორ იქმნება დეკორაცია, მუსიკა, გრიმი... ცდილობდა ყველაფერში მონაწილეობა მიეღო – ახალგაზრდები ერთად გეგმავდნენ რეპერტუარს, ირჩევდნენ პიესებს, საკუთარი ხელით აკეთებდნენ დეკორაციას, რეკვიზიტს... გოგა ხან სცენაზე თამაშობდა, ხან კი რადისტის ან გამნათებლის ფიხურში იჯდა და უფროსებს ეხმარებოდა. ეუბნებოდნენ, რომ კარგად თამაშობდა, თუმცა თვითონ მსახიობობაზე სულაც არ ოცნებობდა, უფრო მეტად სპექტაკლის შექმნის პროცესი აინტერესებდა და ამიტომ ერთ მშვენიერ დღესაც მშობლებს ამაყად განუცხადა – მოსკოვში უნდა წავიდე, რეჟისორობა მინდაო!

დოდო მაშინ სულ პატარა იყო, მაგრამ მაინც კარგად დაამახსოვრდა სახლში გამართული სკანდალი – მშობლები შვილის გადაწყვეტილებას წინ აღუდგნენ. საქმე ისაა, რომ როდესაც გიორგი ტოვსტონოგოვმა მომავალი პროფესია აირჩია, მხოლოდ 15 წლის იყო, თუმცა სკოლას უკვე ამთავრებდა. ალექსანდრე ტოვსტონოგოვი ყოველთვის ოცნებობდა, რომ ვაჟი მის გზას გააგრძელებდა, გოგას თეატრისადმი სიყვარულს კი დროებით ბავშვურ თამაშად მიიჩნევდა. შვილს არც დედამ აუბა მხარი, თამარს იმის წარმოდგენაც კი არ უნდოდა, მის უსაყვარლეს ბიჭს იმხელა ქალაქში მარტო როგორ

უნდა ეცხოვრა, თანაც ასეთ პატარასა და ცხოვრებაში ჯერ გამოუცდელს. მშობლებს თეატრის გაგონებაც არ უნდოდათ! საბოლოოდ მამამ ასეთი განაჩენი გამოუტანა: თუ დროთა განმავლობაში თეატრისადმი სიყვარული არ გაგივლის, ჩააბარე თეატრალურ ინსტიტუტში, მაგრამ ვიდრე პატარა ხარ, ჯობია ჯერ განათლება აქ მიიღო, თბილისში. გოგა მიხვდა, რომ ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა, თანაც იცოდა, რომ 15 წლის ბიჭს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი არ მიიღებდა და მშობლების ნებას დამორჩილდა. ვიდრე თბილისის სარკინიგზო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს ჩააბარებდა, ალექსანდრემ ვაჟს ახალი მეტრიკა მოუტანა, რომელშიც ეწერა, რომ გიორგი ტოვსტონოგოვი 1913 წელს დაიბადა და 17 წლისაა.

თეატრის გარეშე ცხოვრებას ვერ შეძლებდა და ბრძოლა ხელახალი შეტევით განაახლა – პირველი კურსი დახურა, მშობლებს ჩათვლის წიგნაკი მაგიდაზე დაუდო და მტკიცედ განუცხადა – მორჩა, მე მოსკოვში მივდივარ! ამჯერად თამარ და ალექსანდრე ტოვსტონოგოვები მიხვდნენ, რომ შვილს ვეღარ დააკავებდნენ და კამათსაც აზრი აღარ ჰქონდა. 1933 წელს გიორგი ტოვსტონოგოვმა მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის (გიტისის) ყველა მისაღები გამოცდა ფრიადზე ჩააბარა და გამოჩენილი ოსტატების – ანდრეი ლობანოვის და ალექსეი პოპოვის სარეჟისორო ჯგუფში მოხვდა. ისინი მონაწილეებს ძალიან ფრთხილად და სათუთად ეპყრობოდნენ,

თბილისური აქცენტის გამო, გოგა სასცენო მეტყველებაში ოთხიანებს იღებდა, მაგრამ, საკუთარ თავზე ბევრი მუშაობის შემდეგ, აქცენტი მაინც გამოასწორა.

ერთი წლის მანძილზე, გოგა ლექციებზე პატიოსნად დადიოდა, აბარებდა ჩათვლებს და გამოცდებს, ინსტიტუტის შემდეგ კი თეატრში გარბოდა. მხოლოდ იქ – სცენაზე, კულისებში, საგრიმიოროში და თუნდაც გამნათებლის პულტთან მჯდომი, გრძნობდა, რომ სწორედ ესაა მისი სამყარო, ხედებოდა, რომ

ყველანიარად ხელს უწყობდნენ და ცდილობდნენ დამოუკიდებელი აზროვნება ესწავლებინათ, თითოეული მათგანის ინდივიდუალობას აფასებდნენ. პედაგოგები სტანისლავსკის სისტემას ქადაგებდნენ და მოსწავლეებიც ამ სისტემის ერთგულებად გაზარდეს. გიორგი ტოვსტონოგოვის ცხოვრებაში


„მლაპირნი“ თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე



მერე იქვე, სახლთან ახლოს, კორტებზე გარბოდნენ და ჩოგბურთის ჩემპიონატებს აწყობდნენ, გოგას ყველგან თან დაჰყავდა – ასე გაჩნდა მათ შორის ის

დიდი მეგობრობა და განსაკუთრებული სიყვარული, რომელიც დაძმას მთელი ცხოვრების მანძილზე თან სდევდა. 1927 წელს, ახალგაზრდა ენთუ-

ალექსანდრე ტოვსტონოგოვი გოგას თეატრისადმი სიყვარულს დროებით, ბავშვურ თამაშად მიიჩნევდა.



„დიქტატორის“ როლის შესრულება ხანდახან უჭირდა კიდევ

ვოლფის „ტროას ცხენი“ – 1937 წელი). თუმცა სტუდენტური ცხოვრება ბოლომდე ბედნიერი არ აღმოჩნდა – 30-იანი წლების სისხლიან რეპრესიებს ვერც ტოვსტონოგოვების ოჯახი გადაურჩა. 1937 წელს გოგა ბოლო, მეხუთე კურსზე იყო, როდესაც ზაფხულში მორიგი საკურსო სპექტაკლს დასადგმელად ჩამოვიდა. ქალაქი ძალიან შეცვლილი დახვდა, ხალხი – შეშინებული... ლამაზობით პირდაპირ სახლებიდან მიჰყავდათ ბრალდებულები, ხანდახან მთელ ოჯახებსაც კი აპატიმრებდნენ, ახლობლები ვერ იგებდნენ მათ ასავალ-დასავალს... ალექსანდრე ტოვსტონოგოვს „რუსულ ნაციონალიზმში“ სულ უფრო ხშირად სდებდნენ ბრალს, საყვედურობდნენ, რომ ამიერკავკასიის გზათა ინსტიტუტში ზედმეტად ბევრ რუს სტუდენტს იღებდა, კათედრაზეც ბევრი რუსი თანამშრომელი მუშაობდა... იმ დროისთვის მისი კოლეგების და ახლო მეგობრების დიდი ნაწილი უკვე უგზო-უკვლოდ გამქრალიყო. მიამიტი რუსი ინტელიგენციისთვის ეს მეტისმეტი აღმოჩნდა და გადაწყვიტა – მოსკოვში უნდა გავემგზავრო, იქ მომისმენენ და ყველაფერს ამიხსნიანო. აგვისტოს თვეში, მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად, „სამართლიანობის“ აღსადგენად მოსკოვს გაემგზავრა. გიორგი სპექტაკლზე მუშაობდა და ამიტომ თბილისში დარჩა.

ალექსანდრე ტოვსტონოგოვი როსტოვში, რკინიგზის სადგურიდან წაიყვანეს – მატარებლიდან დოღოსთვის ვაშლების საყიდლად ჩამოვიდა და მას შემდეგ ოჯახის წევრებს იგი აღარ უნახავთ. თბილისში დაბრუნებულ დედა-შვილს დარბეული სახლი და სასონარკვეთილი გოგა დახვდათ. არავინ იცოდა, რა ბედი ეწია ალექსანდრეს, მაშინ ხომ უახლოეს ადამიანებსაც კი არ ეუბნებოდნენ სად და როგორ იყვნენ მათი ოჯახის წევრები. ბევრი მათგანი უკვე დახვრეტილი იყო, მაგრამ ახლობლები მაინც საათობით ჯოუტად იდგნენ ციხეებთან, რომ როგორმე საყვარელი ადამიანებისთვის თბილი ტანსაცმელი, სიგარეტი ან საპონი შეეგზავნათ. დაჭერილი ქმრების ცოლებს, როგორც ნესი, ციმბირის ბანაკებში გზავნიდნენ, ამიტომ თამარი კარზე საბედისწერო კაკუნს ყოველ ღამე ელოდა, მაგრამ დაპატიმრებას როგორღაც გადაურჩა, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე შიში არ განელებია – იმ დროიდან მოყოლებული, დასაძინებლად ტანსაცმლით წვებოდა, რომ ჩეკისტებს პერანგში არ ენახათ. ეს ჩვეულება ღრმად სიბერემდე გაჰყვა.

თამარს უთხრეს, რომ მისი ქმარი გადასახლებულია. ქონება, რატომღაც, არ ჩამოართვეს, მაგრამ სახლში უცხო ადამიანები შეუსახლეს და საცხოვრებლად მხოლოდ ერთი ოთახი დაუტოვეს. ტოვსტონოგოვების ოჯახში „გაყიდვების ხანა“ დაიწყო – როგორმე თავი რომ გაეტანათ და მეხუთე კურსელი გიორგისთვისაც ხელი გაემართათ, დედა-შვილს სახლიდან ნივთები გასაყიდად გაჰქონდათ. თუმცა ეს საქმე დოღოს უკეთ გამოსდიოდა, ვიდრე თამარს – მისთვის სიტყვა „გაყიდვა“ და „მოპარვა“ თითქმის სინონიმებს წარმოადგენდა, ამიტომაც ოჯახის ბიუჯეტზე ზრუნვა საკუთარ თავზე დოღომ აიღო – სახლიდან წაღებული ტანსაცმლის, სამკაულების, ძვირფასი ნივთების სანაცვლოდ ბაზრიდან სანოვავე მოჰქონდა. მალე ტოვსტონოგოვების მეზობლად მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახალი მსახიობი – რუსეთიდან ჩამოსული ეგენი ლებედევი დასახლდა. დოღო მაშინ 15 წლის იყო და თანატოლ ბიჭებს ეპრანჭებოდა, ათი წლით უფროსი მეზობელი კი ბებერ კაცად მიაჩნდა. რას იფიქრებდა, რომ ეს „ასაკოვანი“ არტისტი მასზე ყურებად იყო შეყვარებული?!

გიორგი ტოვსტონოგოვი ბოლო, მეხუთე კურსზე იყო, მამა რომ დაუპატიმრეს – თუმცა, როგორც ჩანს, ეს ამბავი გიტისში არ იცოდნენ და შესაძლოა საერთოდ ვერც გაეგოთ, რომ არა გოგას მიმდობი ხასიათი – ერთხელ ერთ-ერთ თანაკურსელს გული გადაუშალა და ოჯახში დატრიალებული უბედურება გაუმხილა. „მეგობარს“ საიდუმლოს შენახვა არც უფიქრია, სასწრაფოდ შეატყობინა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რომ მათი სტუდენტი „ხალხის მტრის შვილია“. ტოვსტონოგოვი უმაღლესიდან უმაღლეს გარიცხეს. საბედნიეროდ, დიდმა ბე-

გიტისის დამთავრების შემდეგ, გიორგი ტოვსტონოგოვი თბილისში რეჟისორის დიპლომით დაბრუნდა და მუშაობა გრიბოედოვის სახელობის თეატრში განაგრძო. თითოეულ სპექტაკლზე მუშაობა დიდხანს, თითქმის ერთი წლის მანძილზე გრძელდებოდა და ნებისმიერი მათგანი ქალაქისთვის სენსაციად იქცეოდა ხოლმე – ტოვსტონოგოვის სპექტაკლებს მოუთმენლად ელოდნენ. 20-იან წლებთან შედარებით, თბილისის თეატრალურ ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვლილიყო – კოტე მარჯანიშვილი ცოცხალი უკვე აღარ იყო, 1935 წელს სამხატ-

„მეგობარს“ საიდუმლოს შენახვა არც უფიქრია, სასწრაფოდ შეატყობინა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, რომ გიორგი ტოვსტონოგოვი „ხალხის მტრის შვილია“.

ლაღმა მალევე წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვები, რომ „შვილები მშობლების დანაშაულზე პასუხს არ აგებენ“ და გოგა ინსტიტუტში აღადგინეს. შემდგომში იმ „მეგობარს“ ლალატიც აპატია და ბევრ რამეში დაეხმარა კიდევც. „როდესაც ვკითხე, რატომ აკეთებდა ამას – იხსენებდა დოღო ტოვსტონოგოვა – მან მიპასუხა – „შენ არ გესმის, რა არის შიში! მით უმეტეს, ის კაცი ებრაელია!“

ვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნეს სანდრო ახმეტელი, მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარს იდეოლოგიურად მკაცრად აკონტროლებდნენ... თავად გიორგი ტოვსტონოგოვსაც „ხალხის მტრის შვილის“ დამლა შქონდა დასმული... თუმცა თავს მაინც ბედნიერად გრძობდა – საყვარელ ქალაქში, დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობდა და სანუკვარ საქმეს აკეთებდა – სპექტაკლებს დგამდა, ამას-

კოლეგებთან და მეგობრებთან ერთად



დაიწყო სტუდენტობის უბედნიერესი ხანა! ლექციების შემდეგ, თანაკურსელები ერთად ესწრებოდნენ წარმოდგენებსა და რეპეტიციებს, კითხულობდნენ კლასიკას და უახლეს ლიტერატურას, ღამეებს კამათში ათენებდნენ... გოგა ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. ყველაფერს საოცარი სიბეჯითით და ინტერესით ეუფლებოდა, მხოლოდ პირველ კურსზე შეექმნა პრობლემა – მეტყველების ძალიან მკაცრ პედაგოგთან, თბილისური აქცენტის გამო, სასცენო მეტყველებაში ოთხიანებს იღებდა, მაგრამ, საკუთარ თავზე ბევრი მუშაობის შემდეგ, აქცენტი მაინც გამოასწორა. «От топота копыт пыль по полю летит» – გაუთავებლად ესმოდა საზაფხულო არდადეგებზე ჩამოსული ძმის ვარჯიში პატარა დოღოს... თბილისში რომ

მას შემდეგ დედა დასაძინებლად ტანსაცმლით წვებოდა, რომ ჩეკისტებს პერანგში არ ენახათ.

ჩამოდიოდა, დროს არ კარგავდა და მშობლიურ მოზარდ მაყურებელთა და გრიბოედოვის სახელობის თეატრებში სპექტაკლებს დგამდა (ჩეხოვის „ხელის თხოვნა“ – 1933 წელი, გოგოლის „ქორწინება“ – 1934 წელი, დელის „მუსიკალური ჯგუფი“ – 1935 წელი, ბრუშტეინის „ციხეფერი და ვარდისფერი“ და პერსონოვის და დობრჟინსკის „დიდი ერეტიკოსი“ – 1936 წელი,



სალომა ყანჩელი

შემდეგაც კი ვერ სცილდებოდნენ და სახლამდე აცილებდნენ. „კარგად მახსოვს ჩემს მასწავლებელთან გატარებული ყოველი ბედნიერი დღე – იხსენებდა ტოვსტონოგოვის სტუდენტი – მიხეილ თუმანიშვილი – ის იყო შთაგონებული, თეატრზე საოცრად შეყვარებული ადამიანი, ყოველთვის ზუსტად და ლოგიკურად გვიმტკიცებდა თავის აზრს... გვაოცებდა თავისი ნიჭითა და ნათელი, პრინციპული პოზიციებით. მასთან ვერ მოინყენდი. დიდი ხანი მაგიდასთან ვერ ჩერდებოდა, უცბად წამოხტებოდა, გაიხდიდა პიჯაკს, აიკაპინებდა სახელოებს და ყველაფერს მოქმედებაში გვიხსნიდა. ჩვენც სიხარულით ვემორჩილებოდით და პირდაპირი მნიშვნელობით, ვალმერთებდით ჩვენს პედაგოგს!“ გიორგი ტოვსტონოგოვი თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში დიდხანს არ უმუშავია, თუმცა მრავალი სახელგანთქმული ხელოვანი აღზარდა: ლილი იოსელიანი, მიხეილ თუმანიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, მედეა ჩახავა, რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, სალომე ყანჩელი, ელენე ყიფშიძე...

1943 წელს გრიბოედოვის სახელობის თეატრმა მორიგი იუბილე იზეიმა, გიორგი ტოვსტონოგოვი კი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიანიჭეს. ახალგაზრდა რეჟისორის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა, ის კვლავინდებურად თავდაუზოგავად მუშაობდა, დგამდა თეატრში, ინსტიტუტში... თუმცა, ხანდახან, როგორც მაინც ახერხებდა და არღვევდა შემოჯარული სტუდენტების „აღყას“, რომლებიც მუდმივად თან დაჰყვებოდნენ და პაემანზე გარბოდა! თბილისში არაფერი იმალება, მით უფრო მაშინ... მალე ყველაშეიშტყო, რომ ახალგაზრდა პედაგოგს საკუთარი სტუდენტი, მომავალი მსახიობი – სალომე ყანჩელი შეუყვარდა! რომანი დიდხანს არ გაგრძელებულა, სადიპლომო სპექტაკლის შემდეგ, შეყვარებულები დაქორწინდნენ და გოგას სახლში, დიდ აივანზე დასახლდნენ – მეგობრულად და ბედნიერად ცხოვრობდნენ, „ეს გიჟური სიყვარული იყო!“ – ამბობდა დოღო ტოვსტონოგოვა. ქმარი სპექტაკლებს დგამდა, სალომე კი – თამაშობდა, თან სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა...

ოჯახურ ცხოვრებაში ბზარი საკმაოდ მალე გაჩნდა... 1944 წელს პირველი ვაჟი – ალექსანდრე, სანდრო, გაუჩნდათ, ერთ წელიწადში კი ტოვსტონოგოვის ოჯახს პატარა ნიკა შეემატა. ამ დროისთვის ისინი უკვე ცალკე ცხოვრობდნენ. მეორე მშობიარობით და პატარა ბავშვებით გაღიზიანებულ სალომეს მხოლოდ დიასახლისის როლის თამაში არ უნდოდა, ეს ლამაზი და ნიჭიერი ქალი სხვანაირ ცხოვრებაზე ოცნებობდა, მას დიდება, ტაში, თავყვანისმცემლები და ყვავილები სურდა, ოჯახი და შვილები კი მის კარიერას ხელს უშლიდა... ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტები და სკანდალები გახშირდა. გაყრა გარდაუვალი იყო...

სასამართლოზე სალომე ყანჩელმა განაცხადა – ბავშვებს მამას ვუტოვებ აღსაზრდელადო...

გიორგი ტოვსტონოგოვი სახლში ორი შვილით დაბრუნდა – სანდრო წლინახვერის იყო, ნიკა კი – ოთხი თვის. „ნიკა პირდაპირი მნიშვნელობით კვდებოდა – იხსენებს დოღო ტოვსტონოგოვა – სისხლის გადასხმა სჭირდებოდა. დედას ნათესავი ექიმები ჰყავდა და ყველა ჩაერთო ამ ამბავში. გოგა ნიკასთან ერთად დანვა საავადმყოფოში, 10 დღის მანძილზე საკუთარ სისხლს უსხამდა, ჩვენ კი სანდროს ვუვლიდით, ისიც ხომ პატარა იყო, წლისა და რამდენიმე თვის. როგორც იქნა, ნიკა გამოძვრა მდგომარეობიდან, თუმცა მაინც სუსტად იყო და ყოველ დღე აუცილებლად უნდა მიეღო ხორცის ბულიონი.“

ომისდროინდელ საბჭოთა კავშირში, ტოვსტონოგოვის-

თანავე, აკაკი ხორავამ ახლად გახსნილ თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ჯგუფი ჩააბარა, რაც ტოვსტონოგოვების შეჭირვებული ოჯახისათვის დამატებითი შემოსავლის წყარო აღმოჩნდა, თუმცა, ახალგაზრდა, ენერგიული შემოქმედისთვის მომავალ მსახიობებთან და რეჟისორებთან პედაგოგიური მუშაობა, პირველ რიგში, პროფესიული ინტერესით იყო გამოწვეული და არა მატერიალური საჭიროებით.

სასამართლოზე სალომე ყანჩელმა განაცხადა – ბავშვებს მამას ვუტოვებ აღსაზრდელადო...

პირველ ლექციას ყოველთვის ჩამჭრელი კითხვით იწყებდა: „იცით, რა არის თეატრი?“ სტუდენტები, როგორც წესი, მოულოდნელი კითხვით დაბნეულები, შესცქეროდნენ, თუმცა პასუხის გაცემის საშუალებას მაინც არავის აძლევდა – თავადვე იწყებდა თეატრის არსის და რაობის ახსნას. ახალბედა პედაგოგი მაშინ მხოლოდ 24 წლის იყო, მისი მოწაფეები კი მასზე რამდენიმე წლით უმცროსები. გოგა, ასაკის მიუხედავად, საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი მასწავლებელი აღმოჩნდა, თუმცა სტუდენტები, თავიანთ პედაგოგზე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, შეყვარებულები იყვნენ – ემოციურად და შემოქმედებითად დატვირთულები, რეჟისორს საოცარი ლექციების

ნაირი ხელმოკლე ოჯახისთვის ბაზარში ხორცის ყიდვა წარმოუდგენელი სასწაულის ტოლფასი იყო. თუმცა ორი მცირენწლოვანი ძმისშვილის გამოსაკვებად, დოღო თავდაუზოგავად დადიოდა ბაზარში, ყიდდა და ცვლიდა ოჯახიდან გამოტანილ ნივთებს, მაინც ახერხებდა და როგორც 200 გრამი ხორცის საყიდლად საკმარის თანხას აგროვებდა. ხორცის გამყიდველ კაცებს სიცილად არ ჰყოფნიდათ, როდესაც პატარა გოგო 200 გრამი ხორცის ანონას ითხოვდა, თუმცა არ ყოფილა შემთხვევა, რომ მისთვის ზედმეტი ხორცი არ დაემატებინათ, 300-400 გრამს ატანდნენ. მაშინ ყველას კარგად ესმოდა გაჭირვების და შიმშილის ფასი... ასე რომ, მზრუნველი მამიდის წყალობით, ნიკა მისთვის საჭირო ბულიონს ყოველდღე იღებდა, სანდრო კი – ხორცის ნაჭერს. ასე იზრდებოდნენ უმცროსი ტოვსტონოგოები... მიუხედავად იმისა, რომ სალომესთან ნორმალური, ადამიანური ურთიერთობა შეინარჩუნეს, ის შვილების აღზრდაში თითქმის არ მონაწილეობდა და მხოლოდ პროფესიით იყო დაკავებული. „ერთხელ, ისე მოხდა, რომ ნიკას რაღაც წამალი დასჭირდა. მე თბილისში არ ვიყავი, გოგა კი რეპეტეციას ატარებდა, ამიტომ დედამ სალომეს სთხოვა დახმარება. მან ვერ შეძლო საკუთარი შვილისთვის საჭირო წამლის შეძენა – რეპეტეცია მოიმიზეზა... ეს კი უკვე ველარ აპატია დედამ და ამ ამბის შემდეგ მასთან საერთოდ სალომეს ხსენებაც კი აღარ შეიძლებოდა.“ – წერს დოღო ტოვსტონოგოვა. ქალმა, რომელმაც ახალგაზრდობაში, ოჯახის და შვილების გამო, უარი თქვა საკუთარ კარიერაზე, დიდსულოვნად გაუგო რძალს, რომელმაც არ ისურვა მცირედი მსხვერპლის გაღება, მაგრამ იმ კონკრეტულ კრიტიკულ ვითარებაში უყურადღებობა კი ველარ აპატია.

„როდესაც უკვე ლენინგრადში ვცხოვრობდით, თეატრი რიგაში გაემგზავრა საგასტროლოდ. – იხსენებს რეჟისორის და – როგორც ყოველთვის, მე და ბიჭებიც დასს თან გავყვეით. ერთ-ერთ სპექტაკლზე სალომე და მისი მეგობარი მოვიდნენ, თურმე მაშინ ისინიც რიგაში ყოფილან. სანდრო და ნიკა (იმახანად უკვე დანწყებითი კლასების მოწაფეები იყვნენ), ჩემ გვერდით ისხდნენ და, ამ ორი ლამაზი ქართველი ქალის შემყურენი, მუდმივად მეჩურჩულებოდნენ – გვითხარი, რომელია აქედან დედაჩვენი? მე მივუთითე სალომეზე.“ ასე „გაიცნეს“ ხელმეორედ დედა... ნღების შემდეგ, სალომე ყანჩელმა კვლავ შექმნა ოჯახი და უკვე ზრდასრულ შვილებთანაც დაამყარა ურთიერთობა. გოგა ყოფილ მეუღლეს ყოველთვის დიდ პატივს სცემდა და მის დიდ ნიჭს აღიარებდა. ერთხელ, დიდ დრამატულ თეატრში, „ხანუმას“ რომ დგამდა, მსახიობთა მთელი ჯგუფი თბილისში საგანგებოდ სალომე ყანჩელის ხანუმას სანახავად ჩამოიყვანა.

სალომე ყანჩელთან გაყრის შემდეგ, გიორგი ტოვსტონოგოვის პირად ცხოვრებაზე თბილისში ბევრი ჭორ-მართალი ისმოდა. ამბობდნენ, რომ ისევ თავის სტუდენტთან გააბა რომანი, მაგრამ ამჯერად ქალი გათხოვილი იყო, იმაზეც ჩურჩულებდნენ, რომ თურმე სატრფოს ქმართან სერიოზული კონფლიქტის შემდეგ, თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა – აკაკი ხორავამ ინსტიტუტის დატოვება მოსთხოვა... თუმცა მისი გამგზავრება მხოლოდ ოჯახური დრამითა და სასიყვარულო პერიპეტეებით არ იყო გამოწვეული. რეჟისორი გრძნობდა, რომ ამ ქვეყანაში მან თავი შემოქმედებითად უკვე ამონურა, ახლა უფრო დიდი ასპარეზი სჭირდებოდა. გიორგი ტოვსტონოგოვი მოსკოვში დიდი შემოქმედებითი გეგმებითა და იმედებით გაემგზავრა. თეატრიდან თეატრში დადიოდა, თუმცა დადგმის მოპოვება არც ისე იოლი აღმოჩნდა, ამიტომ ხელს ყველანაირ სამუშაოს ჰკიდებდა, დგამდა ოპერეტებს, ასრულებდა პარ-

სალომა ხანუმას როლში

ნღების შემდეგ, სალომემ კვლავ შექმნა ოჯახი და უკვე ზრდასრულ შვილებთანაც დაამყარა ურთიერთობა.





პირველსავე დღეს მან ეჭვის თვალით მაცქარალ დასს განუცხადა: „მე ვერ შემიჭამო!“

კომედიის პრინციპებს. თუმცა, 1950-იან წლებში, როდესაც ახალგაზრდა გიორგი ტოვსტონოგოვი თეატრი ჩაიბარა, ყველაფერი მკვეთრად შეცვლილიყო: თითქმის ყველა სეზონის ბოლოს იცვლებოდა მთავარი რეჟისორი, კატასტროფულად იკლებდა მსახიობთა რიცხვი, თეატრის ადმინისტრაციამ ქალაქის ავტობუსთა ბიუროსაც კი მიმართა თხოვნით, ეგებ ტრანსპორტის მარშრუტი შეცვალოთ, რომ მსახიობები ადვილად მოვიდეს სპექტაკლებზე... დიდი დრამატული თეატრი ტოვსტონოგოვს ფრიად სავალალო მდგომარეობაში დახვდა, მას, ფაქტიურად, აღარ ჰყავდა მსახიობები, არ გააჩნდა სარეჟისორო პოლიტიკა, ჰყავდა მრავალრიცხოვანი მსახიობო დასი, რომელიც ძლიერი რეჟისორის გარეშე ღირებულს ვერაფერს ქმნიდა – თეატრი განადგურების პირას იდგა.

„თეატრი უნდა გადაარჩინო!“ – მოუწოდეს მალაჩინოს-ნებმა ახალგაზრდა რეჟისორს და ისიც ენერგიულად შეუდგა რეფორმების განხორციელებას. პირველსავე დღეს მან ეჭვის თვალით მაცქერალ დასს განუცხადა: „მე ვერ შემიჭამო! («Я не съедобен!») დაიმასსოვრეთ ეს!“

გიორგი ტოვსტონოგოვი არსებული პრობლემები ასე გადაწყვიტა – ჩაატარა სერიოზული შემოქმედებითი, სარეჟისორო და საკადრო რეფორმა, გაათავისუფლა ოცდაათზე მეტი მსახიობი, თეატრს დაუბრუნა ძველი და შესძინა ახალი მსახიობები, მან ფაქტიურად ახალი შემოქმედებითი ორგანიზმი შექმნა, გარშემო შემოიკრიბა ერთგულ და ნიჭიერი მსახიობთა ბირთვი: კირილ ლავროვი, ვლადისლავ სტრუელჩიკი, ევგენი ლებედევი, ტატიანა დორონინა, ოლეგ ბასილაშვილი, ზინაიდა შარკო, სერგეი იურსკი, ეფიმ კოპელიანი, ოლეგ ბორისოვი და მრავალი სხვა. მსახიობებს და თეატრის სხვა თანამშრომლებს გიორგი ტოვსტონოგოვი თითქმის ბელადად მიაჩნდათ, მისი სიტყვა კანონი იყო! ზურგს უკან, სიყვარულით, „ჩვენი ქართველი“ («Наш Грузин») შეარქვეს. ამ უზარმაზარ „შემოქმედებით ქარხანას“ რეჟისორი უმკაცრესად, როგორც თავად აღნიშნავდა, „ნებაყოფლობითი დიქტატურის“ რეჟიმში მართავდა. გიორგი ტოვსტონოგოვი დიდი დრამატული თეატრი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ნამყვან თეატრად აქცია, მისი სპექტაკლები არნახული წარმატებით სარგებლობდა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში, ზოგიერთ წარმოდგენაზე ხალხი, პირდაპირი მნიშვნელობით, ჭალზე ეკიდა... რეჟისორს „დიქტატორის“ როლის შესრულება ხანდახან უმძიმდა კიდევ, თუმცა რეჟიმს პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ხშირად ამბობდა: „ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. მაგრამ, როგორც თეატრის ხელმძღვანელმა, თანამშრომლებთან გარკვეული შინაგანი დისტანცია უნდა დავიცვა – უამისოდ მართვა შეუძლებელია. მწერლის მასალა ქალაქია, მხატვრისა – ტილო და საღებავები, ჩემი მასალა კი მსახიობებია, ადამიანები. მაგრამ მეც ხომ ისეთივე ადამიანი ვარ, როგორებიც ისინი არიან, არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის. ზოგჯერ მსახიობისათვის მწარე სიტყვების თქმაც მიწევს, მაგრამ არავინ იცის, რა ძნელია ეს ჩემთვის. ხანდახან ლამეები არ მძინავს. იძულებული ვარ მსახიობს ვუთხრა, რომ ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ, ის კი მეკითხება – ბავშვებს რა ვაჭამო? იძულებული ვარ, კომპრომისზე წავიდე და ვხვდები, რომ ერთი მხრივ, ადამიანურად, ჰუმანურად და სამართლიანად მოვიქცევი, მეორე მხრივ კი, საქმეს ვავნე. ეს წინააღმდეგობა მუდამ მტანჯავს. სრულიად ჩვეულებრივი ადამიანური გრძნობები მეუფლება – ისე, როგორც ყველას. თუ სიკეთის ჭეშმარიტი გრძნობა არ

გაგაჩნია, ხელოვნებაში ვერაფერს შექმნი. იმისათვის, რომ ადამიანის სინდისს შეეხო, თავად ჩვეულებრივი ადამიანი უნდა გახდე, ეს კი პროფესიის მიღმაა...“

ტოვსტონოგოვი პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრს თითქმის 30 წლის მანძილზე მართავდა, ამ პერიოდში რეჟისორი ძირითადად კლასიკურ რეპერტუარს არჩევდა: დოსტოვესკის „იდიოტი“, გორკის „ბარბაროსები“, ვოლოდინის „ხუთი საღამო“, როზოვის „ვახშმობის წინ“, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, ჩეხოვის „სამი და“, გორკის „მდაბიონი“, შექსპირის

საერთო საცხოვრებელში უწევდა ცხოვრება. სივრცის და ცუდი პირობების მიუხედავად, დოლო და შვილები მაინც თავისთან გადმოიყვანა, პეტერბურგში. დედა კი ვერაფრით დაითანხმეს – თამარს არაფრით არ სურდა თბილისიდან სადმე წასვლა, რადგან გულის სიღრმეში, სიცოცხლის ბოლომდე, იმედი ჰქონდა, რომ მეუღლე ოდესმე მაინც დაუბრუნდებოდა. მხოლოდ ხანდახან ესტუმრებოდა ხოლმე შვილებსა და შვილიშვილებს, ისიც – რამდენიმე კვირით, დიდხანს პეტერბურგის ნესტიანსა და ცივ ქარს ვერ უძლებდა. ასე ამბობდა: „ლენ-

ხანდახან ლამეები არ მძინავს. იძულებული ვარ, მსახიობს ვუთხრა, რომ ჩვენ ერთად ვერ ვიმუშავებთ, ის კი მეკითხება – ბავშვებს რა ვაჭამო? იძულებული ვარ, კომპრომისზე წავიდე.

„მეფე ჰენრი IV“, გოგოლის „რევიზორი“, ტოლსტოის „ცხენის ისტორია“, შოლოხოვის „წყნარი დონი“, ჩეხოვის „ძია ვანია“ და მრავალი სხვა.

შემოქმედებით ორომტრიალში გართულს, ოჯახსა და შვილებზე ზრუნვისთვის დრო აღარ რჩებოდა – მისი ბიჭების აღზრდა და დიასახლისის ფუნქციაც დოლომ იტვირთა. თავდაპირველად, როდესაც თეატრის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშნეს,

ინგრადში დილაობით რომ ვიღვიძებ, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩემს თავს ზემოთ რალაც რუხი მასა კილია. მინდა, რომ გავიღვიძებ, ჩემი თბილისის ცისფერი ცა დავინახო ხოლმე.“

მაღე ტოვსტონოგოვის გვერდით თბილისიდან ჩამოსულმა ევგენი ლებედევამაც იქირავა ბინა – აქაც მეზობლები გახდნენ, შემდეგ ნიჭიერი მსახიობი გოგამ თავისთან, თეატრში სამუშაოდ მიიწვია, მოკლე ხანში კი ევგენი ლებედევი და დოლო

„ხანუას“ რომ დგამდა, მსახიობები თბილისში საგანგებოდ სალომე ყანჩელის ხანუას სანახავად ჩამოიყვანა





ტოვსტონოგოვის შამოქაველავითი საღაო

ტოვსტონოგოვა დაქორწინდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ბინაც მიიღეს. ტოვსტონოგოვ-ლემდევის ოჯახში სულ მხიარულება და სტუმრიანობა იყო, ერთ დიდ და ბედნიერ ოჯახად ცხოვრობდნენ, გოგა კვლავინდებურად უკითხავდა თავის დას პიესებს, ლექსებს... მიუხედავად იმისა, რომ დოდო პროფესიით ექიმი იყო და თეატრში არ მუშაობდა, ძმისა და მეუღლის შემოქმედებით ცხოვრებაში მუდმივად ჩართული იყო. გოგა ხშირად ეკითხებოდა აზრს, ისმენდა და ითვალისწინებდა მის რჩევებს... მთელი ცხოვრების მანძილზე, მისთვის ყველაზე ახ-

ქორწინებაც ხანმოკლე გამოდგა – მეუღლემ ერთ-ერთ მთავარ როლზე დანიშნა მოსთხოვა, გოგა კი ასეთ შემთხვევებში კატეგორიული და პრინციპული იყო, მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა ცოლი იყო, თუ ვინმე რიგითი მსახიობი, ის თვლიდა, რომ ამ როლს სხვა უკეთ შეასრულებდა. ამ მიზეზით სახლში საშინელი სკანდალები იმართებოდა. საბოლოოდ, ყველაფერი გაყრით დასრულდა. ამის შემდეგ, ტოვსტონოგოვს ოფიციალურად ცოლი აღარ მოუყვანია. ახალგაზრდობაში მოფიქრებულ ერთ-ერთ „თეატრალურ მცნებას“ – არ ვარშიყო ქალებს სა-

თეატრში მის მექალთანეობას სამხრეთულ ტემპერამენტსაც მიაწერდნენ, უყვარდა ლამაზ ქალებთან გაარშიყება და მათი მოხიბვლაც კარგად შეეძლო.

ლობელი ადამიანი დოდო იყო – მას უზიარებდა ყველაფერს, ყველაფერი კი მისთვის მხოლოდ თეატრი იყო: „ჩემი საქმიანობის მთავარ მიზნად მაყურებლის გონებაში, მათ სინდისში წვდომა მიმაჩნია, მე მინდა მაყურებელი ადამიანის არსებობის შესახებ დავაფიქრო. როდესაც ვინმე მეუბნება, რომ ჩემი წარმოდგენის ხილვის შემდეგ, მოზღვავებული ემოციებისა და ფიქრების გამო, დიდხანს ვერ იძინებს, ეს ჩემთვის ყველაზე დიდი შექების ტოლფასია. სიხარულს პლიუს ძიების მტანჯველი პროცესი – აი, ჭეშმარიტი შემოქმედების ფორმულა!“

თუმცა დრო პირადი ცხოვრებისთვისაც რჩებოდა – თეატრში მის მექალთანეობას სამხრეთულ ტემპერამენტსაც მიაწერდნენ, უყვარდა ლამაზ ქალებთან გაარშიყება და მათი მოხიბვლაც კარგად შეეძლო. პეტერბურგში ხელმეორედ დაქორწინდა, ამჯერადაც მსახიობი შეირთო – ინა კონდრატიევა, თუმცა ეს

კუთარ თეატრში – ყოველთვის პირნათლად ვერ ასრულებდა, თუმცა ერთი თვისება კი ჰქონდა – ფავორიტი ქალები თეატრში პრივილეგიებით ვერასოდეს სარგებლობდნენ. „გოგას სულ ჰყავდა ქალები, ზოგიერთ მათგანს ვიცნობდი, – იხსენებს რეჟისორის და, – ზოგის შესახებ კი არაფერს მეუბნებოდა, მას ხომ ბინაში ცალკე შესასვლელი და თავისი გასაღები ჰქონდა... ხანდახან ისეც ხდებოდა, რომ ვერაფერს ვამჩნევდი...“

პეტერბურგის სახლის გარდა, ტოვსტონოგოვებს პატარა აგარაკიც მისცეს კომაროვოში, ულამაზეს სოფელში, რომელიც პეტერბურგის ინტელიგენციისთვის ერთგვარ მიწიერ სამოთხედ იქცა. აქ ცხოვრობდნენ დრამატურგები, რეჟისორები, მსახიობები, სანატორიუმში დასასვენებლად სხვა ქალაქების თეატრალური მოღვაწეებიც ჩამოდიოდნენ. განსაკუთრებული ვნებათაღელვა კი ჩოგბურთის კორტებზე ტრიალებდა, ხშირად

იმართებოდა ტურნირები, რომელშიც გოგა და დოდო აქტიურად მონაწილეობდნენ. აი, სეირნობა კი კომფორტის მოყვარულ რეჟისორს მაინცდამაინც არ უყვარდა, შესაძლოა ამის გამოც გაუუარესდა ჯანმრთელობა. თანაც ძალიან ბევრს ენეოდა – დღეში ორ კოლოფს! ახლობლებმა იცოდნენ, რომ გიორგი ტოვსტონოგოვს კარგი სიგარეტი უყვარდა და უცხოეთიდან საჩუქრად ყოველთვის მისი საყვარელი „მალბორო“ ჩამოჰქონდათ. გოგას განსაკუთრებული სისუსტე მანქანები იყო – პატარა ბიჭივით უხაროდა ახალი მანქანა და მთელი ცხოვრება „მერსედესზე“ ოცნებობდა. 80-იან წლებში ეს სურვილი აისრულა კიდეც – გერმანიაში დადგმაზე მიიწვიეს და იქიდან უკვე საკუთარი „მერსედესით“ ჩამოვიდა, საჭეს არავის აკარებდა და ბავშვივით ბედნიერი იყო. ერთხელ, ერთი მსახიობის გარდაცვალების ამბავი გაიგო, რომელიც საკუთარ მანქანაში, საჭესთან მჯდომი გარდაიცვალა. «Умер как мужчина. Можно позавидовать» – თქვა მან და თითქოს საკუთარი აღსასრული იწინასწარმეტყველა...

საბჭოთა ხელისუფლებამ გიორგი ტოვსტონოგოვი თითქმის ყველა პრემიით და ორდენით დააჯილდოვა, რაც კი იმხანად არსებობდა: იყო სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, ლენინის რამდენიმე ორდენის მფლობელი... საოცარია, მაგრამ ამ დროს იგი მაინც არ იყო კომუნისტური პარტიის წევრი – როგორც ჩანს, იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მის პერსონას ხელისუფლებაში, რომ უპარტიობასაც კი პატივდნენ. თეატრი, რომლის სათავეშიც უპარტიო ხელმძღვანელი იდგა, მუდმივად დადიოდა გასტროლებზე უცხოეთში, თანაც ისეთ დროს, როდესაც ბევრ თეატრს არ უშვებდნენ საზღვარგარეთ.


გიორგი ტოვსტონოგოვი არ ითვლებოდა დისიდენტ რეჟისორად, (მაგალითად, როგორც იური ლიუბიმოვი), თუმცა არაერთგზის გამოუძახებიათ იდეოლოგიურ კომისიაზე, იშვიათად, მაგრამ მაინც, კრძალავდნენ მის სპექტაკლებს, სახელისუფლებო წრეებში მტრებიც ჰყავდა – თანაც საკმაოდ გავლენიანი. ზოგიერთი სპექტაკლის გამოშვების ბედი დიდი კამათისა და ბრძოლის შედეგად წყდებოდა – ხან იმარჯვებდა, ხანაც – მარცხდებოდა.

დასთან – დოდოსთან ერთად

რეჟისორის და იხსენებდა: „იყო დრო, როდესაც გოგას კუდში დასდევდა გაურკვეველი მანქანა, სულ უთვალთვალდნენ. შემდეგ გამოიკვია, რომ თურმე ჩვენი ბინის ტელეფონი და მთელი სახლიც კი მუდმივად ისმინებოდა. გოგას ხშირად იბარებდნენ „ზევით“, თავისებური მეთოდებით „ამუშავებდნენ“,

„კეთილ რჩევებს“ აძლევდნენ პიესების შერჩევის შესახებ...“ ერთხელ დოდოს გამოც გამოიძახეს, საყვედურობდნენ – რატომ დადის ეკლესიაში?! როგორც ყველა ხელოვანს, გიორგი ტოვსტონოგოსაც საშინლად აღიზიანებდა მის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში ამგვარი ჩარევა, მეტისმეტად ნერვი-

ახლობლებმა იცოდნენ, რომ გიორგი ტოვსტონოგოვს კარგი სიგარეტი უყვარდა და უცხოეთიდან საჩუქრად ყოველთვის მისი საყვარელი „მალბორო“ ჩამოჰქონდათ.





საოცნაო „მერსედისი“ გერმანიიდან ჩამოიყვანა

ერთხელ დოდომ გადაწყვიტა ძმას დახმარებოდა და შესთავაზა, მოდი, ერთად დავანებოთ თავი მონევასო. ყველას გასაოცრად, გოგა დათანხმდა და ერთად გაიკეთეს საოცრად მტკივნეული ნემსი ყურში, რომელსაც, ნესით, მონევის სურვილი უნდა გაეყო. დილით დოდომ, ჩვეულებისამებრ, საუზმე მოამზადა, ყავა დაისხა და თვითონაც გაუკვირდა, რომ სიგარეტს არ მოუკიდა, არადა ათწლეულების მანძილზე მონევა უკვე რეფლექსში ჰქონდა გადასული, ახლა კი უბრალოდ მონევის სურვილი აღარ გაუჩნდა. ამასობაში სამზარეულოში გოგა შემოვიდა, თეატრის ამბები განიხილეს, ისაუზმეს და უცბად, თითქოს არაფერი მომხდარა, სიგარეტი აიღო და მოუკიდა! დოდო სიბრაზისგან კინალამ გაგიჟდა:

– როგორ არ გრცხვენია! სამი საათია არ მომიწევია, შენი გულისთვის ასეთ მტკივნეულ ნემსს გავუძელი, შენ კი ასეთ თავხედურად ეწევი!

შეშინებული გოგა იმნამსვე თავის ოთახში შევარდა, თუმცა ანთებული სიგარეტიც თან გაიყოლა...

80-იან წლებში, ამერიკაში გასტროლებისას, ერთ-ერთმა ექიმმა უწინასწარმეტყველა – თუ სიგარეტს თავს არ დაანებებთ, 2 წელიწადში მოკვდებითო. მაშინ კი ძალიან შეშინდა და მართლაც შეეშვა სიგარეტს, რეპეტიციებზე მსახიობები წლების მანძილზე შეჩვეულ სიგარეტის ნაპერწკალს ჩაბნელებულ დარბაზში უკვე ვეღარ ხედავდნენ. მაგრამ ამ ნაპერწკალთან ერთად, თითქოს რეჟისორშიც რაღაც ჩაქრა – სარეპეტიციო პროცესში ყოველთვის აქტიურად ჩართული, ახლა სკამზე ნერვიულად იჯდა და სცენაზე მოძრავ ადამიანებს თითქოს ვერც კი ამჩნევდა. ერთ-ერთი ასეთი რეპეტიციის შემდეგ, გოგამ კაბინეტში თავისი უცვლელი თანაშემწე და მეგობარი დინა შვარცი იხმო:

- ვეღარ ვმუშაობ!
- გიორგი ალექსანდროვიჩი, ამ სამი საათის მანძილზე რაზე ფიქრობდით? – ჰკითხა შემფოთებულმა დინა შვარცმა.
- მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი, დინა! მონევა მინდა, სიგარეტი მინდა!..

მეორე დღეს ფსიქოლოგს მიაკითხა, ექიმმა ოჯახის წევრებს ასეთი რჩევა მისცა: დაანებეთ თავი, მონიოს, ასეთ დატვირთვას უკვე ვეღარ გაუძლებს და ნელ-ნელა თვითონ შეეშვებაო... ის დღე მისთვის ზეიმი იყო, პატარა ბავშვივით ხარობდა, რომ მონევის უფლება თვით ექიმმა მისცა და ყველას წინაშე დემონსტრაციულად აბოლებდა.

ბოლო წლებში მეტისმეტად გახდა, გამოიფიტა... ხშირად აწვედნენ საავადმყოფოებში, მკურნალობდნენ, მაგრამ ალ-სასრულის შეგრძნება სულ უფრო და უფრო უმძაფრდებოდა. ახლობლებს უთხრა, რომ სეზონის ბოლოს თეატრიდან წამოვიდოდა: „მე უკვე მუშაობის უფლება აღარ მაქვს, გაიგეთ ეს! უკვე აღარ მაქვს ძალა, რომ ხელები ავიკაპინო და ავხტე სცენაზე, რომ სპექტაკლი ჩავასწორო... და თუკი სცენაზე გამოსვლა და მსახიობისათვის რაიმეს ჩვენება აღარ შემიძლია, მაშინ თეატრის მართვასაც ვეღარ შევძლებ!“ სეზონის ბოლო კი ახლოვდებოდა.

1988 წლის 23 მაისს თეატრში გენერალური რეპეტიცია იგეგმებოდა, სამხატვრო ხელმძღვანელს ახალი სპექტაკლი უნდა ენახა და შეეფასებინა. დილით, სახლიდან გასვლის წინ, გოგამ დას უთხრა: „ან ჯანმრთელი ვარ, ან საერთოდ აღარ მინდა სიცოცხლე!..“ თეატრში საკმაოდ სუსტი სპექტაკლი აჩვენეს, რის გამოც ცუდ ხასიათზე დადგა, თანაც დაიღალა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პირველად გავიდა სახლი-

დან, დიდ დატვირთვას უკვე ვეღარ უძლებდა... საჭესთან დაჯდომის უფლებას არავის აძლევდა, ახლაც უარით გაისტუმრა მძლოლი, მე თვითონ წავალ სახლშიო... დიდი დრამატული თეატრის ჭიშკარი გაიღო, ტოვსტონოგოვის „მერსედისი“ ეზოდან ნელა გამოვიდა და ფონტანკის მიმართულებით წავიდა. კიროვის ხიდის მოსახვევთან გიორგი ტოვსტონოგოვმა შუქნიშნის წითელ შუქზე მანქანა შეაჩერა და გარდაიცვალა...

ცრურნმენების და წინასწარმეტყველებების მაინცდამაინც არ სჯეროდა, მაგრამ ერთხელ, რატომღაც, სადგურზე მდგარ ბოშა ქალთან სამკითხაოდ მივიდა: – შენ დიდი კაცი ხარ, კარგად ცხოვრობ და მომავალიც ნათელი გაქვს, მაგრამ ჩემი სიტყვები დაიმახსოვრე: – იცოდე, შენს საკუთარ მანქანაში მოკვდები! – უწინასწარმეტყველა მკითხავმა.

„მე უკვე მუშაობის უფლება აღარ მაქვს, გაიგეთ ეს! უკვე აღარ მაქვს ძალა, რომ ხელები ავიკაპინო და ავხტე სცენაზე, რომ სპექტაკლი ჩავასწორო...“

დიდი მაცხტროს გარდაცვალების შემდეგ, თეატრს სათავეში მსახიობი კირილ ლავროვი ჩაუდგა, მოგვიანებით მან გიორგი ტოვსტონოგოვის სურვილი შეასრულა და თეატრში თემურ ჩხეიძე მიიწვია, თავიდან – მხოლოდ სპექტაკლის დასადგმელად, შემდეგ კი – ხელმძღვანელად. პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრს სათავეში კვლავ ქართველი რეჟისორი ჩაუდგა და დღეს ეს თეატრი გიორგი ტოვსტონოგოვის სახელს ატარებს.

ბოშა ქალის სიტყვებმა გოგას განწყობაზე სულაც არ იმოქმედა, მხიარულად ჩაჯდა მანქანაში (მაშინ ჯერ კიდევ „ვოლგა“ ჰქონდა) და თავისთვის ჩაილაპარაკა: – საინტერესოა, ამ მანქანაში მოვკვდები თუ სიკვდილამდე ოცნებას ავისრულებ და ეს ყველაფერი „მერსედისში“ მოხდება?!

ანანო მირიანაშვილი

ტოვსტონოგოვი დისიდენტ რაჟისორად არ ითვლებოდა, მაგრამ იშვიათად მის სპექტაკლებსაც კრძალავდნენ



ულობდა და ბრაზობდა, თუმცა ისევ და ისევ თეატრის გამო, გარკვეულ დათმობებზე წასვლა ხანდახან მაინც უხდებოდა. ტოვსტონოგოვი კარგი ჯანმრთელობით ნამდვილად ვერ დაიკვებინდა, ამგვარი კომპრომისები კი მის ნერვულ სისტემაზე განსაკუთრებით მოქმედებდა, ხშირად ავადმყოფობდა, მაღალი წნევა და კუჭის წყლული აწუხებდა, ექიმები კატეგორიულად

ამერიკაში გასტროლებისას, ერთ-ერთმა ექიმმა უწინასწარმეტყველა – თუ სიგარეტს თავს არ დაანებებთ, 2 წელიწადში მოკვდებითო.

უკრძალავდნენ სიგარეტის მონევას, თუმცა ნებისყოფა არ ყოფნიდა და ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებულ ამ მავნე ჩვევას ვერ ელეოდა, საავადმყოფოშიც იმის გამო არ წვებოდა, რომ იცოდა, იქ მონევის უფლებას არ მისცემდნენ.